საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3623-02
30/10/2019

რექტორის 2019 წლის 18 აპრილის N1000-02 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის N3583-02 ბრძანებისა და უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 29 ოქტომბრის N18963-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2019 წლის 18 აპრილის N1000-02 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დოკუმენტის ,,გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესები და პროცედურები უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის“ მეორე მუხლის 2.1.3. პუნქტში, მითითებული პუნქტი გავრცელდეს არა მხოლოდ განხორციელებულ, არამედ კანდიდატის მიერ დაგეგმილ მობილობაზეც და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2.1.3. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატს უკვე აქვს მონაწილეობა მიღებული ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამაში, იგივე შინაარსის(იგულისხმება ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა) ახალი განაცხადის შემოტანის დროისათვის ბოლოს განხორციელებული ან დაგეგმილი მობილობიდან გასული უნდა იყოს მინიმუმ ექვსი თვე.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
3. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, ყველა ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი